☐რეგ. № _____ თარიღი: __ _____ __

(ივსება ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატის მიერ)

დანართი №5

დამტკიცებულია სემეკის 2026 წლის 12 ივნისის N35/1 გადაწყვეტილებით;
შესულია ცვლილება 2021 წლის 7 ოქტომბრის N43/2 გადაწყვეტილებაში.

„ახლად გაზიფიცირებულ დასახლებაში ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ორი ან ორზე მეტი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადი

განმცხადებლის საყურადღებოდ!

აღნიშნული განაცხადი ივსება, თუ მისაერთებელი ობიექტი მდებარეობს ახლად გაზიფიცირებულ დასახლებაში.

განაწილების ლიცენზიანტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტრიროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს წესებით განსაზღვრული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.

განმცხადებელი არ არის ვალდებული, მიაწოდოს განაწილების ლიცენზიანტს რაიმე დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტი გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია კომისიის მიერ დამტკიცებული განაცხადის ფორმით.

მიერთების მსურველი ვალდებულია წარადგინოს შიდა ქსელის გაზმომარაგებისთვის მზადყოფნის დოკუმენტი. მიერთების დასრულებამდე აღნიშნული დოკუმენტის წარუდგენლობის შემთხვევაში გაზმომარაგება არ დაიწყება.

განაცხადთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინება ხდება ელექტრონული ფორმით, მომხმარებლის მიერ განაცხადში მითითებულ ძირითად და ალტერნატიულ ნომრებზე ან/და ელექტრონულ მისამართზე.

განაწილების ლიცენზიატის მიერ მიერთების სამუშაოების დასრულებისას მომხმარებელს ეგზავნება შეტყობინება. მიერთების სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ პერიოდზე, მომხმარებელს უნდა დაერიცხოს კომპენსაცია კომისიის მიერ დადგენილი საფასურის 50 პროცენტის ოდენობით.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში განმცხადებელი არ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას წესებით განსაზღვრული ინფორმაციის მითითებით, პირველ რიგში, უნდა მიმართოს მომსახურე საწარმოს ცხელი ხაზს. განმცხადებელი უფლებამოსილია, მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე მარეგულირებელ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებ გვერდი: www.gnerc.org; ელ. ფოსტა: mail@gnerc.org; ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216.

- **განაცხადის შევსების თარიღი „_____“ „_____“ 20____წ.**
- **განცხადების ადრესატი:_____;**

  (იმ განაწილების ლიცენზიატის დასახელება, რომლის ქსელზეც ხდება მიერთება)
- **განაცხადის შევსების წინაპირობა (არასწორად შევსების პრევენციისთვის):**

  მისაერთებელი ობიექტი მდებარეობს ახლად გაზიფიცირებულ დასახლებაში და ამ დასახლებაზე ბუნებრივი გაზის განაწილების ლიცენზიატის სალიცენზიო არეალის გავრცელებიდან არ არის გასული 1 წელი[1]:

  ☐ დიახ; ან

  ☐ არა, ასეთ შემთხვევაში არ ივსება წინამდებარე განაცხადის ფორმა. ამ შემთხვევაში განაწილების ლიცენზიატს უნდა მიმართოთ „ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ერთი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის შესახებ“ განაცხადის ფორმით.

I. პირადი და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები:

1 . განმცხადებელი:_____;

(სახელი და გვარი, ან იურიდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება)

2 . პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:_____;

3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

3.1. მისამართი:_____;

3.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე[2] ან

---

[1] ახლად გაზიფიცირებულ დასახლებებზე ინფორმაცია შესაძლებელია გადამოწმდეს როგორც განაწილების ლიცენზიატის ოფიციალურ ვებგვერდზე, აგრეთვე ცხელი ხაზის საშუალებით, ან მომსახურების ცენტრებში. წესების 38[1]-ე მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ახლად გაზიფიცირებულია დასახლება, რომლის გაზიფიცირებაც განხორციელდა საქართველოს მთავრობის განკარგულებით დამტკიცებული საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი გაზით მომარაგების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში ან განაწილების ლიცენზიატის მიერ, არაგაზიფიცირებული დასახლების გაზიფიცირების შემთხვევაში.

[2] აღნიშნული ნომრიდან *303# აკრეფით მომხმარებელს შეუძლია მობილური სერვისებით ინტერაქციულად სარგებლობა (ელ. ქვითარი, წყვეტები და სხვა).

ელექტრონულ მისამართზე[3]:

__ - __ __ - __ __ - __ __ - __ __

(მობ. ნომერი) - ძირითადი;

__ - __ __ - __ __ - __ __ - __ __

(მობ. ნომერი) - ალტერნატიული;

3.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი (სურვილის შემთხვევაში)

_ _ __ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ _ @ _ _ _ _ _ _ _ _ _ - ძირითადი;

(ელექტრონული ფოსტის მისამართი)

4. მიერთების მსურველის (განმცხადებლის) საბანკო რეკვიზიტები:_____;

II. ძირითადი ინფორმაცია

5. მისაერთებელი ობიექტის (საცხოვრებელი ადგილის, საწარმოს, ან სხვა ობიექტის) რეკვიზიტები, სადაც უნდა მოხდეს გამანაწილებელ ქსელზე მიერთება და გაზმომარაგება:

5.1. მისაერთებელი ობიექტი მდებარეობს თვითმმართველ ქალაქში: ☐ დიახ ან ☐ არა.

5.2. მისაერთებელი ობიექტის მისამართი:_____;

5.3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი:_____;

6. გამანაწილებელ ქსელზე მისაერთებელი ობიექტის ჯამური სიმძლავრე:_____$მ^3$/სთ.

(დანართი 1–ში მოცემული მომხმარებლების მისაერთებელი სიმძლავრის ჯამი)

7. გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური ჯამურად:_____;ლარი.

(დანართი 1–ში მოცემული მომხმარებლების გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურის ჯამი)

8. განაცხადით მოთხოვნილ აბონენტთა (ინდ. აღრიცხვის საშუალებების) საერთო რაოდენობა:_____მათ შორის, დაბალი წნევის 0-10 კუბ.მ/სთ სიმძლავრის ჭკვიანი მრიცხველის მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნილი ჭკვიანი მრიცხველების რაოდენობა:__;

9. საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო აბონენტთა რაოდენობა: საყოფაცხოვრებო:____; არასაყოფაცხოვრებო ___, და დამატებით განცალკევებული აღრიცხვა (საერთო მიზნებისთვის, გათბობის სისტემა და სხვა):____;

III. ძირითადი მოთხოვნა:

10. გთხოვთ, წინამდებარე განცხადებაში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, კომისიის 2009 წლის 9 ივლისის N12 დადგენილებით დამტკიცებული ,,ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ (შემდგომში - წესები) დადგენილ ვადაში[4] მომიწყოთ აღრიცხვის კვანძი, დამარეგისტრიროთ აბონენტად და დაიწყოთ გაზმომარაგება ზემოაღნიშნულ მისამართზე.

11. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ წესებით და ,,მომსახურების ხარისხის წესებით“ განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის დროულად გადავიხდი ჩემ მიერ მოთხოვნილ მომსახურებაზე დადგენილ საფასურს.

IV. დამატებითი ინფორმაცია:

12. გესაჭიროებათ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა: ☐ დიახ; ან ☐ არა.

13. განაცხადში მოცემული ჩემი პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი:

ა)გამოყენებულ იქნეს გაზმომარაგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით: ☐ დიახ, ან ☐ არა;

ბ) მიეწოდოს ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების სექტორში მომსახურე საწარმოებს, სადაც, განაცხადში მოცემულ მისამართზე, რეგისტრირებული ვარ მომხმარებლად და გამაჩნია აბონენტის ნომერი: ☐ დიახ ან ☐ არა

1) _____ ; 2) _____ ;

(მიუთითეთ განაწილების ლიცენზიატი) (მიუთითეთ განაწილების ლიცენზიატი)

V. თანდართული დოკუმენტაცია:

14. მომხმარებლების (აბონენტების) მიხედვით მისაერთებელი სიმძლავრე, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური და ამ

---

[3] მითითებული ელ. ფოსტა გამოყენებული იქნება კომისიის ,,მომხმარებლის პორტალზე“ როგორც მომხმარებლის სახელი და საკონტაქტო ელ. მისამართი.

[4] გამანაწილებელ ქსელზე მიერთების უზრუნველყოფის პერიოდი-ვადა განისაზღვრება მისაერთებელი სიმძლავრის შესაბამისად. ვადები იხილეთ ბმულზე: www.gnerc.org

მომხმარებლების დაზუსტებული მისამართები (ივსება დანართის N1 მიხედვით) ☐;

15. ობიექტის არქიტექტურული პროექტის შესაბამისი გაზომომარაგების სქემა ელექტრონული ფორმით (ბეჭდური განაცხადის შემთხვევაში CD ან DVD ფორმატით) ☐;
16. მიერთების საფასურის სრულად გადახდის დამადასტურებელი საბუთი ☐; გადახდილი თანხა სიტყვიერად:_____;
17. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში):_____

განმცხადებლის ხელმოწერა _____

აბონენტების მიხედვით დაზუსტებული მისამართები

	1	2	3	4	5	6		7	8	9
N	აბონენტის დაზუსტებული მისამართი	აბონენტის (მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდაზე პასუხისმგებელი პირის) სახელი, გვარი ან იურიდიული პირის დასახელება	პირადი ნომერი ან იურიდიული პირის საიდენტიფიკაციო კოდი	საკადასტრო კოდი[5]	ბუნებრივი გაზის მოხმარების მიზანი	განამაწილებელ ქსელზე მისაერთებელი		შიდა ქსელის გაზმომარაგებისთვის მზადყოფნის დოკუმენტი	გსურთ თუ არა ბუნებრივი გაზის მოწოდება განაწილების ლიცენზიატისგან	აბონენტის ხელმოწერა
						სიმძლავრე	საფასური[6]			
					☐ საყოფაცხოვრებო; ან ☐ არასაყოფაცხოვრებო			☐ დიახ ან ☐ არა	☐ დიახ ან ☐ არა	
					☐ საყოფაცხოვრებო; ან ☐ არასაყოფაცხოვრებო			☐ დიახ ან ☐ არა	☐ დიახ ან ☐ არა	
					☐ საყოფაცხოვრებო; ან ☐ არასაყოფაცხოვრებო			☐ დიახ ან ☐ არა	☐ დიახ ან ☐ არა	
					☐ საყოფაცხოვრებო; ან ☐ არასაყოფაცხოვრებო			☐ დიახ ან ☐ არა	☐ დიახ ან ☐ არა	

[5] საყოფაცხოვრებო მომხმარებლის შემთხვევაში, უძრავი ქონების საკადასტრო კოდის ნაცვლად, განაცხადზე შესაძლებელია, თანდართული იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს.

[6] ერთობლივად ორი ან ორზე მეტი ახალი ობიექტის მიერთების მოთხოვნისას, თითოეული ახალი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური განისაზღვრება, წესების დანართი №3-ის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფასურზე, ამავე წესების დანართი №4-ით განსაზღვრული საფასურის (შეთავაზებული პაკეტის საფასურის) დამატებით და მოიცავს საერთო ფართის ქსელისა და აღრიცხვის კვანძის მოწყობას. მაგალითად, ახლად გაზიფიცირებულ დასახლებაში დაბალ წნევაზე 0-6 კუბ. მ/სთ სიმძლავრით მიერთების შემთხვევაში ამ ახალი ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური შეადგენს 850 ლარს (დანართი №3-ის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფასურს - 400 ლარს, დამატებული დანართი №4-ით განსაზღვრული საფასური 450 ლარი).